ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №63

(CPV: 22110000 - ნაბეჭდი წიგნები)

თბილისი 05 მარტი, 2013 წელი

ერთის მხრივ - სსიპ - **მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი მმართველის ზურაბ გეწაძის სახით და მეორეს მხრივ - ა(ა)იპ - **საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის უფროსის მ/შ **ზაზა აბულაძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებით თეატრისათვის ნაბეჭდი წიგნების სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია:

შესყიდვის ობიექტის (წიგნის) დასახელება	რაოდენობა (ეგზემპლარი)	ერთეული ფასი (ლარი)	ჯამური ფასი (ლარი)
მ. თუმანიშვილი - „სანამ რეპეტიცია დაიწყება"	20	6.25	125.00
მ. თუმანიშვილი - „რეჟისორი თეატრიდან წავიდა"	20	4.40	88.00
მ. თუმანიშვილი - „ახლა კი ფარდა"	20	5.35	107.00
მ. თუმანიშვილი - „ფიქრები თეატრსა და ცხოვრებაზე"	20	4.10	82.00
		სულ	402.00

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **402,00 (ოთხას ორი) ლარს**, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლისა და მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.